

# მუნიციპალური იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ანასრულად შევსებული დეკლარაციები იურიდიული

იმერეთში მუნიციპალური იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ნაწილს ქონებრივი დეკლარაციები არასრულად აქვს შევსებული.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” მუნიციპალური არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირებისა (ა(ა)იპების) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი პირების 45 დეკლარაცია შეისწავლა. შედეგად დეკლარაციის არასრულად შევსების 16 ფაქტი გამოვლინდა, რომელთაგან 7 შემთხვევა ეხება საკუთარი და ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული წილების მიუთითებლობას, 6 შემთხვევაში თანამდებობის პირებს საკუთარი წილი სხვა პირებისთვის მინდობით არ გადაუციათ, ხოლო 3 შემთხვევაში არ აღუნიშნავთ ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება.

## სონი

### ჩამაზ სანიკიძე

ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბის ხონის იმერეთის“ დირექტორი



ჩამაზ სანიკიძემ 2018 წელს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა, რომ ის შპს „[საფეხბურთო კლუბი ტყიბულის მემახტე-2](#)“-ის 100 %-იანი წილის მფლობელია. გარდა იმისა, რომ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონის“ მე-15 მუხლის თანახმად, ჩამაზ სანიკიძეს აღნიშნული წილის ფლობის შესახებ დეკლარაციაში უნდა მიეთითებინა, ასევე, აღნიშნული წილი მინდობით სხვა პირისთვის უნდა გადაეცა.

## სამხარია

### ზემინარ ბოხუა

ა(ა)იპის „სახლი თანადგომა“ დირექტორი



ზემინარ ბოხუას 2018 წელს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითებია, რომ ის ქალაქსამტრედიის ავტოსადგურის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების [ფართის](#) თანამესაკუთრეა. ასევე, არ მიუთითებია შვილის, არჩილ ფანცულაიას საკუთრებაში არსებული [უძრავი ქონება](#) ქ. სამტრედიაში, რუსთაველის #12-ში.

### იაგო ჭაფოძე

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ დირექტორი



იაგო ჭაფოძემ 2018 წელს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა, რომ მეუღლის, ელენა ჭაფოძეს საკუთრებაშია ქ. სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩის #88-ში არსებული [607 კვ.მ. უძრავი ქონება](#).

### ალექსანდრე სტურუას

შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედიას“ დირექტორი



ალექსანდრე სტურუას 2018 წელს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აუხსავს მისი კუთვნილი 25%-იანი წილი შპს „[უმნიში](#)“. კანონმდებლობის თანახმად, მას აღნიშნული წილი მინდობით სხვა პირისთვის უნდა გადაეცა.

## წყალტუბო

### ზაზა სოფრომაძე

ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბის სამგურალის“ დირექტორი



ზაზა სოფრომაძემ 2018 წელს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ ასახა, რომ მისი შვილი, ლაშა სოფრომაძე არის შპს „[ჰოტ-ბლუთის](#)“ 25%-იანი და შპს „[ენემი გრუპ იმპორტის](#)“ 7%-იანი წილის მესაკუთრე.

## ხანაბაული

### თეიმურაზ ფრხაძე

ა(ა)იპ „ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ დირექტორი




თეიმურაზ ფრხაძემ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა, რომ მისი შვილი, პავლე ფრხაძე არის შპს „[აი პი კომპანის](#)“ 50%-იანი წილის მესაკუთრე.

## ქადაგი ქუთაისი

### დავით წითაიშვილი


ა(ა)იპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი



დავით წითაიშვილმა 2018 წლის სექტემბერში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა, რომ კოოპერატივი „[ბარაქას](#)“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და 20%-იანი წილის მესაკუთრეა.

### მაია ნადარეიშვილი


ა(ა)იპ ქ.ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელი



მაია ნადარეიშვილმა 2018 წლის [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა, რომ მისი მეუღლე, ბიქტორ ბალანჩივაძე არის შპს „[ლეკა XXI](#)“-ს 25%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი; ასევე შპს „[მერონის](#)“ 10%-იანი წილის მფლობელი.

### თეიმურაზ კიკვაძე

შპს „რ.შენგელის სახელობის სტადიონის დირექტორი“



თეიმურაზ კიკვაძემ 2018 წლის სექტემბერში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა, რომ ის არის შპს „[მოგას](#)“ 6%-იანი წილის მესაკუთრე, ასევე შპს „[მ.ვ.კ. 2011-ს](#)“ 100%-იანი წილის მფლობელი.

### ირაკლი სარიშვილი

შპს „ქართული ტრადიციები 2011-ის“ დირექტორი



ირაკლი სარიშვილმა 2018 წლის აგვისტოში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა, რომ ის არის შპს „[ავტო კომფორტის](#)“ დირექტორი და 50%-იანი წილის მესაკუთრე. ასევე, მან დეკლარაციაში არ ასახა ინფორმაცია მამის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ: ოთარ სარიშვილი არის შპს „[მორიგონის](#)“ 100%-იანი წილის მესაკუთრე, შპს „[თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრის](#)“ 33%-იანი და შპს „[კავკასტურის](#)“ 100%-იანი წილის მესაკუთრე. ოთარ სარიშვილი არის ზემოთ ჩამოთვლილი სამივე შპს-ს დირექტორი.

თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების შემოწმების საკითხი კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, შესაბამისად, “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეისწავლოს კვლევაში აღნიშნული პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.